საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„დუდა“-ს დირექტორის დურმიშხან აბულაძის
(რეგისტრირებული: ქ. წალკა, მ.კოსტავას ქუჩა # 88, ს/კ 443122434)
ელ. ფოსტა: durmishkhanabuladze@gmail.com
Tel: 551116234

სკრინინგის განცხადება

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“_ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

მოგახსენებთ, რომ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში 85.28.22.296 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გვსურს/დაგეგმილი გვაქვს მოვაწყოთ და ექსპლუატაციაში მივიღოთ ბენზინგასამართი სადგური (ამჟამად დაგეგმილი გვაქვს და არ მიმდინარეობს არანაირი სამუშაოები).

ბენზინგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია ჩვენი მიწის ნაკვეთის წითელი ხაზებიდან (საზღვრიდან) აღმოსავლეთით 24_ი მეტრით (ბენზინგასამართი სადგურის ჩამოსახმელი სვეტიდან 45 მეტრით). დასავლეთით განთავსებული შენობა-ნაგებობა, რომელიც მდებარეობს ჩვენი ნაკვეთის წითელი ხაზებიდან (საზღვრიდან) 16 მეტრში არ წარმოადგენს დასახლებულ პუნქტს. არის არასაცხოვრებელი სახელმწიფო შენობა (ყოფილი მეთევზეთა ბარაკი).

ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორია წარმოადგენს 1258 m^2 ფართის მქონე ნაკვეთს, რომელზეც არ დგარს შენობა-ნაგებობა. საკადასტრო გეგმაზე არსებული შენობა-ნაგეობა დანგრეულია.

ბენზინგასამართი სადგურს გააჩნია მიწისქვეშა სარკოფაგში განთავსებული ორი ცალი დიზელის და ბენზინის (მოცულობით 18 და 18 ტონა) საწვავისთვისთვის განკუთნილი რეზერვუარები.

საწვავმარიგებელი ერთი სვეტი ორი პისტოლეტით დიზელის და ბენზინის საწვავისთვის.

სვეტი დამონტაჟებულია ბენზინგასამართი სადგურის გადახურული ფარდულის ქვეშ და დაკავშირებულია პლასტიკის მილებით საწვავის ავზებთან.

საწვავი მიიღება ავტოცისტერნის საშუალებით, ავზების შევსება ხდება ტერიტორიაზე განთავსებული შემავსებელი სვეტის მეშვეობით.

რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ. მათი „სასუნთქი სარქველები“_ს სიმაღლეა H=3.0 მ და დიამეტრი D=48 მმ. რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებით.

ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციის წლური მაქსიმალური ჯამური რაოდენობაა 1915 m^3, საიდანაც 1000 m^3 იქნება დიზელის საწვავი და 915m^3 ბენზინის საწვავი.

№ 5554.
"02" 04 2020
3/5

რეზერვუარიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტს, საიდანაც ხდება ატომობილების ავზების შევსება.

ტერიტორიაზე განთავსებულია მეხამრიდი, რომლის მოქმედების არეალი ვრცელდება ავტოგასამართი სადგურის სრულ ტერიტორიაზე. ასევე საწვავის მიღების მომენტში ავტოცისტერნის დაერთება ხდება დამიწების ჭანჭიკზე. პროექტის მიხედვით ასევე მოწყობილი სარეზერვუარო პარკისა და შენობაში დამონტაჟებული ცენტრალური მართვის კარადის დამიწება.

ტერიტორიაზე მოწყობილია წყალმომარაგების და კანალიზაციის შიდა სისტემა, ასევე ხანძარქრობისთვის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდება 4 m^3 მოცულობის წყლის რეზერვუარი.

წყლის მომარაგება ხდება წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების შიდა ქსელის სისტემიდან, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი მიერთებული იქნება სპეციალურად კანალიზაციისთვის მოწყობილ მიწისქვეშა სეპტიკზე, სადაც ჩადინებული იქნება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყალი (სველი წერტილებისთვის). სეპტიკში მოწყობილი იქნება სპეციალური სალექარები. გაწმენდილი წყალი ჩავება მოხდება ნიადაგში, ხოლო წარმოქმნილი შლამის ამოღებ, გატანა, ტრანსპორტირება მოხდება სრული კანონმდებლობის დაცვით.

ბენზინგასამართ სადგურზე განლაგებული ნაგვის ურნები დასტიკერებულია სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად, ასევე განთავსებულია სახანძრო დაფები და ცეცხლმაქრები, სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბანზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფანტვას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფანტულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისათვის. რადგან ავტოგასამართის სადგურის სვეტი განთავსებული იქნება ზემოდან გადახურული ფარდულის ქვეშ, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის დაფიქსირებული.

ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება (იხ. სურათი 1.) მრავალწლოვანი მცენარეული სახეობები, მითუმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ავტოგასამართ სადგურის მშენებლობის პერიოდში მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნება თავისუფალ ტერიტორიაზე (ჩვენს მიწის ნაკვეთზე).

ავტოგასამართ სადგურში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ბენზინგასამართი სადგური მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

როგორც საპროექტიო ტერიტორიაზე, ისე მის სიახლოვეს არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ასევე მოგახსენებთ, რომ საწარმოს ტერიტორიზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობს ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყდება სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობებთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობის სამშენებლო მასალების წარმოქმნა ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში 2,2 $მ^3$-ის ოდენობით), ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვერებით და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებით განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამის ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

ბენზინგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადის საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ბენზინგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის მოედანის გარე პერიმეტრზე მოწყობილია არხები, რომელიც შეერთებულია მიწისქვეშა ავზთან და საწვავის დაღვრის შემთხვევაში მოხდება მისი ჩადინება ავზში. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დალექვის შემდეგ ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დანარჩენი ნავთობ პროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

ხელმოწერა: /დურმიშხან აბულაძე/ 01.04.2020

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020074725 - 31/01/2020 10:08:01

მომზადების თარიღი
04/02/2020 18:39:10

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
წალკა	თიაკილისა		
85	**28**	**22**	**296**

მისამართი: რაიონი წალკა , სოფელი განთიადი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1258.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020074725 , თარიღი 31/01/2020 10:08:01
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:31/01/2020 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "დუდა" , ID ნომერი:443122434

მესაკუთრე:
შპს "დუდა"

აღწერა:

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკა
ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**85.28.22.296**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**902019917825**	ფართობი:	**1258 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**17/12/2019**		

კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:300

05/25	მშენებარე ნაგებობა	05/25	შენობა/ნაგებობა		ტყის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ხაზობრივი ნაგებობა		ვალდებულება